საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1488

21/10/2021

ქ. თბილისი

ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის" ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს და ინდუქციური ღუმელების) მოწყობისა და ექსპლუატაციის კოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის" ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს და ინდუქციური ღუმელების) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N45 (01.10.2021);
2. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენი" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N45 (01.10.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი